ხელშეკრულება № 01/162-26

ქ.თბილისი „11" დეკემბერი 2013 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", დირექტორის გიგა უმეკაშვილის სახით
მისამართი : ქ. თბილისი, ალექსიძის ქ.№1, შენობა-ნაგებობა №1
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები : ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი : სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: 220101222
ანგარიშის ნომერი : 200122900
საიდენტიფიკაციო კოდი : 202294980

მეორე მხრივ, სსიპ ქალაქ რუსთავის №20 საჯარო სკოლა
მისამართი : ქალაქი რუსთავი, მეგობრობის 35ა
სკოლის დირექტორი : მანანა ჯიმშელაძე
საიდენტიფიკაციო კოდი : 216296906
საბანკო რეკვიზიტები : ს.ს ,,თი-ბი-სი ბანკი''
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი : GE11TB7554134080100001

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ში, 2013 წლის 04 დეკემბერს, შემოსული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 02 დეკემბრის №572468 წერილის, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს დირექტორის 2013 წლის 09 დეკემბრის №120 ბრძანების, ,,საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები:

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

,,ხელშეკრულება" - სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-სა და სსიპ ქალაქ რუსთავის №20 საჯარო სკოლას შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

,,დაფინანსების ოდენობა" - საერთო თანხა, რომელსაც სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" გამოუყოფს სსიპ ქალაქ რუსთავის №20 საჯარო სკოლას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
,,თანხის გამცემი" - სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"
,,თანხის მიმღები" - სსიპ ქალაქ რუსთავის №20 საჯარო სკოლა.

1. ხელშეკრულების საგანი

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს (ორგანიზაციული კოდი 32 05 02) ასიგნების ფარგლებში სსიპ ქალაქ რუსთავის №20 საჯარო სკოლის ბუნებრივი აირის მრიცხველის შეძენა-მონტაჟის (CPV: 45333200, 38410000) თანადაფინანსება თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. დაფინანსების ოდენობა და წესი

2.1 ბუნებრივი აირის მრიცხველის შეძენა-მონტაჟისათვის, ,,თანხის გამცემი'' განახორციელებს ,,თანხის მიმღების'' სსიპ ქალაქ რუსთავის №20 საჯარო სკოლის თანადაფინანსებას (წინასწარი გადახდა) 4599,60 (ოთხიათასხუთასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 60 თეთრი) ლარიდან 2300 (ორიათასსამასი) ლარის ზევით.

2.2. ,,თანხის გამცემი" ,,თანხის მიმღებს", ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში, გადაურიცხავს, ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრულ თანხას.

3. მხარეთა მოვალეობები

3.1 ,,თანხის გამცემი" ვალდებულია ,,თანხის მიმღებს" გადაურიცხოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული თანხა, ამავე მუხლით გათვალისწინებული წესისა და ვადის დაცვით.

3.2 ,,თანხის მიმღები'' ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიღებული თანხის მიზნობრივად გამოყენება.

ბ) მიღებული თანხის აუთვისებელი ნაწილი სრულად დააბრუნოს შემდეგ ანგარიშზე : სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – 220101222, ანგ. №200122900 **საბიუჯეტო** შემოსულობების სახაზინო კოდი – **302003460.**

გ) ხელშეკრულების შესრულების შესახებ ინფორმაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, გახარჯული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია) შესრულებისთანავე წარმოადგინოს სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"–ში. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ,,თანხის გამცემი" უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

დ) ანგარიშის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ,,თანხის გამცემსა" და ,,თანხის მიმღებს" შორის გაფორმდება შედარების აქტი, რომელზედაც ხელმოწერის უფლება ,,თანხის გამცემის" მხრიდან გააჩნია ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

,,თანხის გამცემს'' ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე;

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე;

5.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი სახით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში წარმოიშვა შესრულების შემაფერხებელი გარემოებები, მაშინ შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;
6.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ამ ხელშეკრულების 7.2 პუნქტის გათვალისწინებით.

7 ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1 ,,თანხის გამცემს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება ,,თანხის მიმღების'' ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
7.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს ,,თანხის მიმღებს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ ჩაითვლება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობად თუ აღნიშნული წარმოადგენს ფორს-მაჟორული გარემოების შედეგს;
8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;
8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. სხვა პირობები

9.1 ,,თანხის გამცემმა'' და ,,თანხის მიმღებმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა ერთმანეთში შეათანხმონ მათ შორის ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა;

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა თანხის მიმღებს, ხოლო სამი ეგზემპლარი თანხის გამცემს.

9.3 ამ ხელშეკრულების 10.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

„თანხის გამცემი"

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს
დირექტორი
გიგა უმეკაშვილი

.....

„თანხის მიმღები "

სსიპ ქალაქ რუსთავის №20 საჯარო სკოლის დირექტორი
მანანა ჯიმშელაძე

.....